[illegible]

# ხალხის საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.
რაიონის გარეთ 60 კაპ.

№ 509 1918 წ. ხუთშაბათი ნოემბრის 21. № 389

## გერმანელებმა მოპირდაპირეთა ტერიტორია მთლად დასცალეს. „ფორვერტსი" მოითხოვს სოციალისტების სრულ შეთანხმებას. გერმანიის დამფუძნებელი კრების არჩევნები მოხდება 1919 წლის თებერვლის 2-ს. ავსტრია-უნგრეთის მეფე კარლოსი ტახტიდან გადგა ჰოლლანდიაში ისევ მოძრაობაა. მოკავშირეების ფლოტი სტამბოლთან დგას. სომხებმა ადერბეიჯანის საზღვრები გადალახეს.

სალომე ქაიხოსროს ასული, დავით და მიხეილ კონსტანტინეს ძენი ლორთქიფანიძენი და ოლიმპიადა კონსტანტინეს ასული და შალვა ანტონის ძე მიქელაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ გარდაცვალებას პირველი ძვირფასი შვილისა, მეორენი დისა და უკანასკნელი ცოლის დისა

### თამარ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ასული გერელაშვილისა.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე განსვენებულის ბინაზე (მიხეილის ქ., სამხედრო სასწავლებელი) დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2420

---

გაიოზ ადამის ძე გერელაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას დაუვიწყარის მეუღლის

### თამარ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ასულისა

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე საკუთარ ბინაზე (მიხეილის ქუჩა, სამხედრო სასწავლებელი). დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2420

---

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

### სერგეი ფილიპეს ძე პროზოროვი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე მისი ნინო რევაზის ასული შვილებით და ცოლის დები მარიამ წერეთლისა, ანასტასია ვასვახიშვილისა და ცოლის ძმები: სვიმონ, ალექსანდრე, დავითი, ლევან და კონსტანტინე ვახვახიშვილები. მიცვალებულს გამოასვენებენ ხუთშაბათს, ნოემბრის 21-ს, დილის 9 საათზე ბაგრატიონის ქ. № 10 წმიდა ნიკოლოზის სობოროში (ალექსანდრეს ბაღში). 2427

---

ღრმად დამწუხრებულნი დედა მარიამ, მამა გიგო და ძმები: ლავრენტი და შალიკო. ბიძა ნიკო და ბიცოლა მატრონე, ბიძაშვილი ვერა ალავიძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უსაყვარლესი და უძვირფასესი შვილი

### ეფრასია (პაშა) გიგოს ასული ლავიძისა

პანაშვიდი ყოველ საღამოს 5 საათზე. საპიორნის ქუჩა, № 45. საიდანაც გამოასვენებენ და დაკრძალავენ შაბათს ნოემბრის 23 დილის ათ საათზე.

---

მწუხარებისა შინა მყოფნი და: ოლია ანთიმოზის ასული და სიძე: გრიგოლი შვილებით, ბერძენიშვილები, გულის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ნოემბრის 23 (ახ. სტ.) დღით შაბათს გადახდილ იქნება პანაშვიდი დაუვიწყარი და საყვარლის ტრაღიკულად 2 ენკენისთვის გარდაცვლილის ქუთაისის რეალური სასწავლებლის მე-6 კლასის მოწაფის და მოხალისედ მე-2 საარტილერიო ბრიგადის 1 ბატარეის ჯარის კაცად მყოფის

### გიორგი (ჟორჟიკა) ანთიმოზის ძის მაღრაძის

სულის მოსახსენებლად ქ. ქუთაისში მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში. 2476

---

ვლადიმერ გრიგოლის ძე, ეკატერინე გრიგოლის ასული და ნატალია სოლომონის ასული ციციშვილები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ეკატერინეფელდში გარდაიცვალა პირველთა—უძვირფასესი დედა, მეორესი დედამთილი და მესამეთა—დიდედა

### ლუდმილა გაბრიელის ასული ციციშვილისა

დასაფლავება მოხდება დღეს, ნოემბრის 21- სოფელ ეკატერინეფილდში 2429

---

## სახელმწიფო თეატრი

ხუთშაბათს, ნოემბრის 21-ს, **ოპერა**

ტ. საბანეევის მ. ალეშკოს, კანშინის, გ. ნიკოლსკის და ლ. ისეცკის მონაწილეობით

### ჰუგენოტები

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა მეერბეერისა.

ფასები დაკლებულია. დასაწყისი საღ. 7½ ს.

შაბათს, ნოემბრის 23-ს ტ. საბანეევის ბ. ზალიპსკის და პოლიაევის მონაწილეობით

### ტრავიატა

კვირას, ნოემბრის 24-ს საღამოთი მ. ალეშკოს, კანშინის და ორდას მონაწილეობით

### ტოსკა.

დასის წარმომადგენელი ევლახიშვილი. 1397

---

## ს.-ფედერალისტთა ოზურგეთის მაზრის ორგანიზაციებს

ორშაბათს, ნოემბრის 25 ს, ქ. ოზურგეთში დანიშნულია სოციალისტ-ფედერალისტთა სამაზრო კონფერენცია

**განსახილველი საკითხები:**

1. მოხსენებები სამაზრო კომიტეტისა და ადგილებიდან.
2. სამაზრო კომიტეტის რეორგანიზაცია
3. მომავალი მუშაობის გეგმა დამფუძნებელი კრება, საერობო მუშაობა.

წარმომადგენლობა 50 კაცი გზავნის 1 დელეგატს.

1415 **სამაზრო კომიტეტი.**

---

## დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი"

დემ. კლ. არს. ქარს. სახ. წარ. მმარ. წრე

დღეს, ხუთშაბათს, ნოემბრის 21-ს 1918 წ. წარმოდგენილი იქნება

### „გაწყვეტილი სიმი"

დრ. 4 მოქ. გარდელისა.

ბილეთების ფასი სახალხოა. ბილეთები იყიდება ყოველ დღე თეატრის კასაში საღ. 5—8 საათ დასაწყისი საღამოს 7 საათზე. 2245

---

## ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის საბჭო

ამით აცხადებს, რომ კვირას, ნოემბრის 24-ს დილის 11 საათზე ქართულ კლუბის შენობაში დანიშნულია კავშირის წევრთა

### საგანგებო კრება

საგანი კრებისა: წრევანდელი სეზონის ვითარება და კავშირის დამოკიდებულება მასთან. 1396

---

**საპიორთა ბატალიონი** რომელიც დაბინავებულია ქალ. ტფილისში 1 კახეთის ქ. № 25, (ტფილისის ყოფილ პოლკის სადგომში) იწვევს გამოცდილ უნტერ-ოფიცრებს, რომელნიც ირიცხებიან სათადარიგოში, ოცის თავები და ზინდეგებათ.

საჭიროა ცოდნა: ან საპიორულ ან სატელეგრაფო და სატელეფონო საქმის, აგრეთვე ქართულ ენისა. პირობები: გარდა დადებულ ჯარის-კაცთათვის, პირცემით დამატებითი ჯამაგირი 250 მანეთი თვეში და ცალკე ოთახი ბათალიონის სადგომში. წლოვანობა არა უმეტეს 36 წლისა. 27[illegible]7

---

## განცხადება

ცენტრალური სასურსათო საბჭო (მადათოვის ქ. № 3, ყოფილი სასურსათო სამინისტრო) ამით აცხადებს საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ ხსენებულ საბჭოში მარცვლოვანი მარილი დაწესებულ ფასებში.

მარილის მიღება შეიძლება ქ. ტფილისში და ქ. ფოთში. 1411

---

### ტფილისი, ნოემბერი 21.

**ეროვნული საბჭოები.**

ჩვენ ამ დღეებში უკვე აღვნიშნეთ ის გაცხარებული აგიტაცია, რომელსაც ეწევიან ჩვენში რუსეთის მომხრეები. ისინი ყოველ საშუალებას მიმართავენ, რათა საქართველოს დამოუკიდებლობა მოსპონ და იგი ძველებურად გადაიქცეს უბრალო სანაპიროდ აღდგენილ რუსეთისა. მერე როგორი რუსეთისა? შავრაზმულის ან ბოლშევიკურისა, რადგან დღეს იქ მხოლოდ ეს ორი ძალაა ანგარიშ გასაწევი. მაგრამ ჩვენ გვინდა ერთხელ კიდევ შევეხოთ იმ ორგანოებს, რომელნიც ლეგალურად არსებობენ და ლეგალურად მუშაობენ ჩვენს საწინააღმდეგოდ ესაა ეროვნული საბჭოები.

იმ გარდამავალ ხანაში, როდესაც არავითარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია არ არსებობდა, ეროვნულმა საბჭოებმა უდიდესი როლი ითამაშეს. მათ ლარაზმეს თავიანთი ერები და თავს იდვეს მთელი ერის პოლიტიკის ხელმძღვანელობა, ამიტომ იყო, რომ ტფილისში არსებობდა მსხვილი ერების რამდენიმე ეროვნული საბჭო, რომელიც სცილდებოდა ჩვენს საზღვრებს და მთელ ამიერკავკასიაში გაფანტულ სომხობას, რუსობას და სხვ. ხელმძღვანელობდა. ეხლა მდგომარეობა შეიცვალა და ეროვნულმა საბჭოებმა დაჰკარგეს თავისი წინანდელი ხასიათი. ჩვენი ქვეყანა სახელმწიფოებრივად ჩამოყალიბდა და აქ არსებული დანარჩენი ერები გადაიქცნენ ეროვნულ უმცირესობად. ჩვენ, რომელთაც კარგად გვაქვს გამოცდილი ასეთი მდგომარეობა ძველი თვითმპყრობელობის დროს, არასოდეს არ გამოვალთ ვისიმე უფლების შემლახველად, დამცირებლად. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან სახელმწიფოში სახელმწიფო მოვითმინოთ. ეს იქნება ანარქიის და არევ-დარევის გამეფება, რაიც მთელ ორგანიზმს დაჰღუპავს. ყველა ეროვნულ უმცირესობას უნდა ჰქონდეს გარანტიები თავის საკუთარ კულტურულ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის. დანარჩენ დარგებში ისინი უნდა იყვნენ უბრალო მოქალაქენი რესპუბლიკისა და სხვა არაფერი. თუ ისინი ქვეშევრდომნი არ იქნებიან ჩვენი რესპუბლიკისა, მაშინ საკითხი სდგება: უნდა იზრუნოს და გაიღოს თუ არა განსაზღვრული თანხა სახელმწიფომ იმისთანა უმცირესობისათვის, რომელსაც არავითარი ვალდებულება არ აწევს სახელმწიფოს წინაშე?

დღეს არსებული ეროვნული საბჭოები უპირველესად ყოვლისა სცილდებიან ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებს. განსაკუთრებით ეს ითქმის რუსთა ეროვნულ საბჭოზე. მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი არ კმაყოფილდება მარტო ამას, რუსთა ეროვნული საბჭო არის პოლიტიკური ორგანიზაცია და სწორედ იგეთ, რომელიც არსებითად ეწინააღმდეგება საქართველოს დამოუკიდებლობას. იგი ბუდეა ყველა იმ ელემენტებისა, რომელნიც დაცინვით შეჰყურებენ ჩვენს რესპუბლიკას და ათასგვარ ქსელს აბამენ მის საწინააღმდ. ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი ბათომიდან, სადაც აწერილია რუსთა პოლიტიკა. იქ ხუთასამდე რუსის ოფიცერია, რომელთაც კავშირი აქვთ ტფილისის რუსთა ეროვნულ საბჭოსთან. ეს ოფიცრები ჯამაგირებს იღებენ ოსმალეთისაგან და ათასგვარ ჭორს, პროვოკაციულ ხმებს ავრცელებენ საქართველოს წინააღმდეგ. ისინი ჩამოდიან ტფილისში და ბრუნდებიან ბათომს, რაღაცას ჩალიჩობენ, რაღაცას აწყობენ და ყველაფერი ეს ჰბნელება თავისუფლად. რადგან ჩვენი საზღვრები ყველასათვის ღიაა და ვისაც უნდა მობრძანდება.

ყველა ზემოხსენებული გვიკარნახებს ფრთხილად მოვიქცეთ და არსებულ ეროვნულ საბჭოებს ჩამოვაშოროთ პოლიტიკური ფუნქციები. ისინი უნდა გადიქცნენ კულტურულ განმანათლებელ ორგანიზაციებათ, ხოლო უცხოელთ ეყოლებათ თავიანთი სახელმწიფოს წარმომადგენელნი, რომელნიც მათს ინტერესებს დაიცავენ. მთავრობამ თითქოს ამას წინად სწორედ ასე განმარტა ეროვნულ საბჭოების ფუნქციები, მაგრამ მისი შესრულებისაგან შორსა ვართ. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს, და რათა საქართველო არ გადაიქცეს პოლიტიკურ ინტრიგების და პროვოკაციის მსხვერპლად, რათა ჩვენსავე ხელით არ აღვზარდოთ ისეთი რამ, რაიც ჩვენთვისვე არის საშიში და დაღუპვას მოგვინდომებს.

## მაჰმადიან ქართველებისთვის

სამაჰმადიანო საქართველოს საკითხმა კვლავ მწვავე ხასიათი მიიღო. ცნობილი იყო წინად, რომ ახალციხე ახალქალაქის მაზრები დაუყონებლივ უნდა დაუბრუნდეს ჩვენს რესპუბლიკას, ხოლო ბათომის ოლქის ბედი გაურკვეველი რჩებოდა. მოველოდით კი, რომ ისიც უნდა დაეცალა ოსმალეთის ჯარს.

სამწუხაროდ გენ. მაყაშვილის რაზმს ტყვილად მოუხდა ცდა აწყურში, ოსმალოებმა იქით აღარ გაუშვეს. არ გამართლდა ბათომის დაცლის ხმებიც. პირიქით ოსმალოებმა სამაჰმადიანო საქართველოში დღეს უფრო გააძლიერეს მუშაობა და წინად თუ ძალით ცდილობდნენ მის დამორჩილებას, ეხლა სხვანაირ ხრიკებს მიმართეს—მოსყიდვას და მოტყუილებას. სამშობლოს მოღალატე ბეგების მეოხებით ფართო აგიტაციას ეწევიან ხალხში, უქადაგებენ ოსმალეთის ერთგულობას, ჰპირდებიან ავტონომიას, დამოუკიდებლობასაც კი, ოღონდ საქრისტიანო საქართველოს ჩამოშორდნენ. თანაც ჰქმნიან „ადგილობრივ" რაზმებს—გადაცმულით ასკერების სახით, რომ ამით ერთნაირი შთაბეჭდილება გამოიწვიონ: თვითონ მკვიდრნი იბრძვიან ოსმალეთის ორიენტაციის დასაცავად.

ოსმალოების განზრახვა ყველასათვის გასაგებია. ოსმალოები—ეს ყოველგვარი თავისუფლების დაუძინებელი მტრები, ეს ისტორიის ჯალათები—განა ვისმე თავისუფლებას მისცემენ? ოსმალეთი, რომელსაც კაცობრიობისთვის სისხლისა და წამების მეტი არა მოუტანია. განა ბათომ ახალციხეს მიანიჭებს შვებას? დღეს გახდნენ კეთილნი და კულტურისნი? ის მებაირაღენი ისინი ვინც მრავალი საუკუნე ევროპის მეზობლად ცხოვრობდნენ და მისი განათლებას ერთი ნამცეცი ვერა შეითვისეს რა? განა საცხადო არაა, რომ ოსმალეთს, რომელსაც თავისთვის ვერ შეუქმნია თვითმართველობა და წესიერება, ნასახი სახელმწიფოებრიობისა, სხვისთვის მოჰქონდეს კანონი და წესი?

ყველაფერი ეს დღესავით ნათელია, მაგრამ ოსმალეთის გაცვეთილ მოხელეებს მაინც ადვილად შეუძლიანთ მოატყუილონ და მახეში გააბან ჩვენი შეუგნებელი მაჰმადიანი ძმები, მით რომ უფრო არა ერთი და ორია ხიმშიაშვილებისთანა მუხანათი ბეგი, რომლებიც მხოლოდ საკუთარ გამორჩენაზე ფიქრობენ და კიდევ ბევრჯელ გაყიდიან სამშობლოს და ხალხს, როგორც არა ერთხელ გაუყიდიათ აქამდის. მართალია, მაჰმადიან ქართველთა შორის არის არა მცირე ნაწილი, რომელიც მუდამ ქართულ ორიენტაციას ემხრობოდა და განსაკუთრებით ოსმალთა უკანასკნელი შემოსევის შემდეგ მტკიცედ იცავს იმ აზრს, რომ სამაჰმადიანო საქართველოს არსებობა წარმოუდგენელია დანარჩენ საქართველოს გარეშე, რომ სამაჰმადიანო საქართველოს ცხოვრება და განვითარება შეუძლია მხოლოდ საქრისტიანო საქართველოსთან მჭიდრო კავშირით და ერთობით. მაგრამ ასეთი შეგნებული მაჰმადიან ქართველების მუშაობა ვერ არის სათანადოთ გაშლილი და მათ ღონიერი ბრძოლა უხდებათ ერთის მხრით თავის ძმების შეუგნებლობასთან და მეორეს მხრით ოსმალთა ძალმომრეობასთან. ამიტომ მარტო საკუთარის ძალ-ღონით ვერაფერს გახდებიან აუცილებლად საჭიროა გარედან მიშველება, დახმარება ქრისტიან ძმების მხრით.

ჩვენ ბოლო დროს თითქოს მივივიწყეთ სამაჰმადიანო საქართველოს ბედი,

მაშინ როდესაც ამ საქმეს ესაჭიროება განსაკუთრებული სიფხიზლე. თითქოს განგებას მივანდვეთ მისი გაკეთება და გვგონია, რომ თავისთავად მოეწყობა ყველაფერი, მაშინ როდესაც მტრები გაფაციცებით მუშაობენ და ძმების სამუდამო დაშორებისა და გათიშვისათვის ოსმალოებს ჯგუფში ამოუდგა ბევრი სხვა არა ქართველი, როგორც ეს აშკარაა გუშინდელ გაზეთში დაბეჭდილ ბათომის ამბებიდან.

უნდა მარჯვედ და გაბედულად გაუწოდოთ ხელი მაჰმადიან ძმებს, უნდა დავეხმაროთ სიტყვით და საქმით. სამაჰმადიანო საქართველოს დიდი სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენმა მთავრობამაც. საჭიროა დაჩქარება, ყოველივე დაყოვნება მდგომარეობას უფრო გაართულებს და გააძნელებს.

სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველო განუყოფელია, ეს უდიდესი საკითხია ქართველი ერის აღდგენის, მისი დამოუკიდებელი არსებობის.

**სამ. ფირცხალავა.**

# საქართველოს პარლამენტი

**სამშაბათი, ნოემბრის 19.**

კრება იხსნება 12½ ს. ნ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით.

ი. აბაკელია მკითხულობს დღის წესრიგს და კომისიებში გადასაცემ კანონპროექტთა სიას.

**შ. ამირეჯიბი** (სორგ. კომ. წევრი) მკითხულობს საბოლოო ტექსტებს: 1) სხვა და სხვა უწყების სკოლათა განათლების სამინისტროს უწყებაში გადასვლის; 2) სახაზინო პალატის გაუქმებისა და გადასახადთა და ხაზინის სამართველოს დაარსების; 3) ორასი მილიონი მანეთის ბონის გამოცემის; 4) პირველდაწყებითი სკოლების გახსნის; 5) გურიის უმაღლეს დაწყებითი სკოლებისათვის ერთდროულ დახმარების და 6) საქციზო უწყების ორგანიზაციის კანონებისა.

ტექსტები მიღებულია ერთხმად.

### დახმარება საჩხერეში ცეცხლით დაზარალებულთ

**მომხსენებელი ი. კაკაბაძე** (საფინანსო კომისიის წევრი). ბატონებო! საჩხერეში არეულობის დროს ცეცხლმა იმსხვერპლა საუკეთესო ნაწილი საჩხერისა. საბიუჯეტო კომისიის დავალებით მე წავედი ადგილობრივ მდგომარეობის გამოსარკვევად. განადგურებულია 57 ოჯახი: 34 ბინის მომქირავე, 23—შენობის პატრონი. ზარალი უდრის 700,000—1 მილიონ მანეთამდე. საბიუჯეტო კომისიამ დაადგინა აღმოუჩინოს დახმარება 45.000 მანეთით და ამისათვის შემდეგი კანონ-პროექტი შეიმუშავა:

„გადაეცეს სახელმწიფო ხაზინიდან შორაპნის საერობო მართველობას 45 000 მან. საჩხერეში დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად“.

კანონ-პროექტი მიღებულია ერთხმად.

### სამთო სამართველოს დაარსება.

**მომხსენებელი ი. ლორთქიფანიძე** (საფინანსო კომისიის წევრი) ჰკითხულობს კანონ-პროექტს კავკასიის სამთო სამართველოს გაუქმებისა და საქართველოს სამთო სამართველოს დაარსების შესახებ. სამთო სამართველოს შესანახავად წლის დამლევამდე გაღებულია 64,775 მანეთი.

კანონ პროექტი მიღებულია ერთხმად.

### საღვთო სჯულის სწავლება.

**მომხსენებელი ლ. ნათაძე** (სასკოლო კომისიის წევრი) ბატონებო! შეიძლება ჩვენ სხვა და სხვა აზრის ვიყვეთ სარწმუნოების მნიშვნელობის შესახებ საზოგადოებაზე. ზოგიერთნი ჰფიქრობენ, რომ სარწმუნოება ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას; მეორენი კი პირიქით აუცილებელ საჭიროებად სცნობენ, რათა საზოგადოება ჩამოშორებულ იქნას სარწმუნოებას: კ. მარქსი მაგალითად ამბობს, რომ სარწმუნოება საიმქვეყნო ბედნიერებას ჰქადაგებს, ხოლო საზოგადოების განვითარების ინტერესი მოითხოვს, რომ მან პირი ქნას სამქვეყნო ბედნიერებისაკენ და ხელი აიღოს საიმქვეყნო ბედნიერებაზე. შეიძლება, ვიმეორებ, ჩვენ სხვა და სხვა აზრის ვიყვეთ სარწმუნოების მნიშვნელობაზე და საღვთო სჯულის სწავლებაზე სკოლებში; მაგრამ პარლამენტმა უნდა შეხედოს ამას პოლიტიკურისა და პედაგოგიური თვალსაზრისით.

პოლიტიკური მხარე საკითხისა შემდეგია: ჩვენ უნდა მოვიგონოთ, რომ ძნელად მოიპოვება ისეთი დაქვეითებული პარტია, რომლის პროგრამაში არ იყოს მუხლი სინდისის თავისუფლების შესახებ. თუ რჩდცპპეჩნ იანა მივიღებთ სინდისის თავისუფლების, ამის განხორციელება შეიძლება ასე: ეკლესია უნდა განკერძოებულ იქნას სახელმწიფოსაგან. ერთი აუცილებელი ნაბიჯი, ამ განკერძოებისაკენ გადადგმული. თუნდ იყოს სარწმუნოების სწავლების მოსპობა სკოლებში. თუ სასწავლებლებში სარწმუნოება ისწავლება, ეს იმას ჰნიშნავს, რომ სახელმწიფო ურწმუნოებს ახდევინებს ფულს, რომ ამ ფულით შეინახოს ის ხალხი, რომელიც მორწმუნეთათვის ასწავლის სარწმუნოებას. თუ მივიღებთ ზემოხსენებულ პრინციპს, უნდა მიღებულ იქნეს ისიც, რომ არ ისწავლებოდეს იძულებით საღვთო სჯული. ჩვენ კანონ-პროექტში ამ პოლიტიკურის თვალსაზრისით მთავარ ყურადღებას იპყრობს მე-5 და მე-6 მუხლები, ამ მუხლების ძალით მუსულმანთა სკოლებში დაშვებულია საღვთო სჯულის სწავლება და შემდეგი მოსაზრებებით: 1) ჩვენ იმედი გვაქვს, რომ აჭარა და მუსულმანებით დასახლებული რაიონები საქართველოს შემოუერთდება. ხოლო ამ რაიონებში დიდი აგიტაცია სწარმოებს ქართველ მუსულმანებისა და ჩვენი ერთმანეთისაგან დაშორებისათვის, რომელიც დაფუძნებულია იმ დებულებაზე, თითქოს ქართველებს ჰსურდესთ ქართველ მუსულმანების სარწმუნოებას შეებრძოლონ. ჩვენ რომ არ დაგვეშვა კანონ-პროექტში ეს მუხლები (5, 6), აგიტატორებს კიდევ მიეცემოდა მიზეზი თავისი მავნე აგიტაციისათვის. 2) ამ ცოტა ხანში ჩვენ აზრად გვაქვს საყოველთაო განათლება გავავრცელოთ. მუსულმან ბავშვებს სკოლები სწორედ მაშინ მიიზიდავს, თუ აქ საღვთო სჯულს ასწავლიან; დასასრულ 3) მუსულმანთა სკოლებში, არსებითათ საღვთო სჯული კი არა, შარიატი ისწავლება. შარიატი კი უფრო ვიწრო ცნება, ვიდრე საღვთო სჯული და ასწავლის არა ღმრთისა და ადამიანის ურთიერთობას, არამედ განსაზღვრავს ადამიანების ურთიერთ დამოკიდებულებას: მაგ., ცოლისა და ქმრის, შვილებისა და მშობლების და სხვ. ჩვენ რომ წავართვათ შარიატი, მუსულმანთა ცხოვრებაში დარჩება ცარიელი ადგილი, რომელსაც ჩვენ ვერაფრით ვერ შევავსებთ. ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ შარიატი ისწავლება მხოლოდ იმ სკოლებში, რომელიც მუსულმანებისათვის არის გახსნილი და არა შერეულებში. რადგან საშუალო სკოლები მუსულმანებისათვის არ იქნება გახსნილი, მაშასადამე შარიატი ისწავლება მხოლოდ მუსულმანთა დაბალ სკოლებში.

პედაგოგიურ თვალსაზრისზე უნდა მოგახსენოთ შემდეგი: იმ წესით სწავლება საღვთო სჯულისა, როგორითაც აქამდე ისწავლებოდა, ყოვლად შეუძლებელია. საღვთო სჯულის სწავლება წარმოადგენდა ლოცვების გაზეპირებას იმ ენაზე, რომელიც ბავშვებს სრულებით არ ესმოდათ. წინად ასწავლიდნენ რუსულად და არ ესმოდათ. ეხლაც, როდესაც ქართულად ისწავლება, ბავშვებს მაინც არ ესმისთ, რადგან ის ქართული ბავშვებისათვის ნაკლები გასაგებია. ამასთანავე საღვთო სჯულის სწავლებას ერთგვარი არევ-დარევა შეაქვს ბავშვებში. ადამიანის გაჩენაზე, მაგალითად, საღვთო სჯულის მასწავლებელი ასწავლის ერთს, ბუნების მეტყველი კი სხვას. საღვთო სჯულის საგანში იყო ერთი ნაწილი, რომელიც ჩვენის აზრით ეხლაც უნდა დარჩეს. ეს არის საეკლესიო ისტორია, ხოლო იგი უნდა ასწავლოს ისტორიის მასწავლებელმა, რადგან საეკლესიო ისტორია იხილავს სხვა და სხვა მიმდინარეობის სარწმუნოებრივ მოძღვრებაში და შეადგენს ფილოსოფიისა და ისტორიის საგანს.

აი, ამ მოსაზრებით—პოლიტიკურისა და პედაგოგიურის ხელმძღვანელობდა კომისია, როდესაც მან დაადგინა მოისპოს საღვთო სჯულის სწავლება ყველა ტიპისა და საფეხურის სახელმწიფოთა და კერძო სკოლებში, და პარლამენტს ვთხოვ მიიღოს ეს კანონ-პროექტი.

**დოლიძე** (ს.-დ.) სოც.-დემოკრატიული ფრაქცია მხარს უჭერს ამ კანონპროექტს და იზიარებს მომხსენებლის მოსაზრებებს. სარწმუნოება ხელს უშლის სოციალისტურ მოძღვრებას. სარწმუნოებით სარგებლობდნენ ჩვენი მტრები, რომ შეუგნებელი მასა ხელში ჩაეგდოთ. ხოლო უნდა აღვნიშნოთ, რომ კანონ-პროექტი არის ულოღიკობა: ჩვენ ვსპობთ საღვთო სჯულს და ვტოვებთ შარიატს მუსულმანთა სკოლებში. ასეთი გამონაკლისი ყოვლად შეუწყნარებელია. სოც.-დ. ფრაქცია მოითხოვს, რომ მე-5 და მე-6 მუხლები ამოიშალოს.

**კ. აფხაზი** (უპარტიო). ბატონებო! კანონ-პროექტი სპობს საღვთო სჯულის სწავლებას სკოლებში იმ ტექსტით, რომელიც ჩემთვის მიუღებელია. მე არ შეუდგები აქ დაცვას საღვთო სჯულის სწავლებისას, ხოლო მოგახსენებთ შემდეგს:

ქრისტიანულ სარწმუნოებას რომ ჩამოვაცალოთ სასწაულთ-მოქმედება და ზოგიერთ მოციქულთა ეპისტოლები, დარჩება წმინდა მაღალი მოძღვრება. და, აი სწორედ ჩემთვის, როგორც ქრისტიან ადამიანისათვის, ეს მხარე არის ძვირფასი საუნჯე. განა ძმობა, ერთობა (**რ. გაბაშვილი** ადგილიდან: მაგალითად, გაზეთი „ერთობა“) ქრისტიანული ცნება არ არის? განა ხალხისათვის თავდადება და მისთვის სამსახური ქრისტეს მოძღვრება არ არის? უნდა მივიღოთ მხედველობაში აგრეთვე ის ზნეობრივი მდგომარეობა, რომელიც ეხლა ჩვენს ხალხში არსებობს. ანარქიამ დასცა ზნეობრივი მხარე ერისა და ამ მხარეს მოვლა უნდა. სახელმწიფო მოვალეა ამას ყურადღება მიაქციოს. სავალდებულო სწავლას იმიტომ ვაწესებთ ხალხისათვის, რომ იგი გამოვიდეს ცოდნით აღჭურვილი და სამსახური გაუწიოს ქვეყანას და ამისათვის, მას ზნეობრივი სახეც უნდა ჰქონდეს განვითარებული.

რა საშუალებები არსებობს ზნეობრივი განვითარებისათვის? ამისათვის სამი საშუალებაა: ოჯახი, ეკლესია და სკოლა. ჩვენს ინტელიგენტურ ოჯახში ზნეობრივი აღზრდა არ სწარმოებს. ასწავლიან მხოლოდ ჭამა სმას, მისვლა-მოსვლას და სხვ ასეთვე დაბალ წრეებშიაც. ერთი შეიძლება აღინიშნოს: უღვიძებენ ნათესაურ გრძნობას, რომ მაგ., ძმამ და არ შეირთოს. მეორე საშუალება ეკლესია: აბა, რა ვაკადრო ეკლესიას, რომელიც 100 წლის განმავლობაში მკვდარი იყო. მოყვასისათვის თავდადება ვერ გაბედეს ჩვენმა მღვდელმთავრებმა ასეთი მოქალაქობრივი გრძობით არ იყო შემკული ეკლესია და ამიტომ სიმპატიაც ჩვენს ხალხში ვერ მოიპოვა, დარჩა ერთად-ერთი სკოლა და ამ სკოლაშიც გვინდა მოვსპოთ ეს მაღალი სწავლა. ვსთქვათ, რომ ქრისტიანულმა მოძღვრებამ მოიხადა თავისი მოვალეობა კაცობრიობის წინაშე. მაგრამ, რას აძლევთ ხალხს სამაგიეროს? ინტელიგენციას აქვს კულტურა, ცივილიზაცია; მაგრამ ხალხმა რა ქნას. ევროპაში (და იაპონიაშიც) ვიდრე საღვთო სჯულის სწავლებას მოსპობდნენ, შემოიღეს მორალის სწავლა. როდესაც განათლების სამინისტრო ასეთ რამეს ჩვენს სკოლებშიც შემოიღებს, მაშინ შეიძლება მოვსპოთ საღვთო სჯულის სწავლება.

თვით ტექსტის შინაარსიც მიუღებელია: თუ ქრისტიანთა საზოგადოება თავის სარწმუნოებისათვის არ გამოიღებს ფულს, რატომ უნდა გამოიღოს მან მუსულმანთა სკოლებისათვის. მე წინადადებას ვიძლევი შემდეგი მუხლები მივიღოთ: 1) არც ერთი ტიპის სკოლაში საღვთო სჯულის სწავლება სავალდებულო არ არის; 2) თუ მშობლები მოისურვებს, რომ საღვთო სჯული ასწავლონ მათ შვილებს, სახელმწიფო ხაზინამ გაიღოს მისთვის საჭირო თანხა.

დასასრულ მოგმართავთ შემდეგი სურვილი გამოსთქვათ: „პარლამენტი ავალებს განათლების სამინისტროს, რათა მან მიიღოს ზომები, რომ ახლო მომავალში შემოღებულ იქნას ჩვენს სკოლებში მორალის სწავლება.

განათლების მინისტრი **გ. ლასხიშვილი**, როდესაც პარლამენტი იხილავდა კანონ-პროექტებს სემინარიელებისა და ინსტიტუტების შესახებ, ჩვენ საშუალება გვქონდა ჩვენი აზრი გამოგვეთქვა საღვთო სჯულის სწავლების შესახებ. და ეხლაც ვიმეორებთ, რომ არც მთავრობას, არც განათლების სამინისტროს არაფერი აქვს საწინააღმდეგო, რომ საღვთო სჯულის სწავლება გაუქმებულ იქმნას. მიუხედავად ამისა, რომ ჩვენ ასეთი აზრის ვიყავით კანონ პროექტი ამის შესახებ მაინც არ შემოგვიტანია და შემდეგი მოსაზრებით: იმდენი სამუშაო აქვს „განათლების სამინისტროს, რომ წელს პროგრამების შემუშავებას ვერ მოვახერხებთ. გადავწყვიტეთ პროგრამების შემუშავება მომავალი წლისათვის გადაგვედვა. პროგრამების საკითხშივე მივაქცევთ ჩვენ საღვთო სჯულის სწავლების საკითხიც. მომავალ სამოსწავლო წლამდე გადაწყდებოდა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის საკითხიც და მით საღვთო სჯულის საკითხიც გადაწყდებოდა.

ამას გარდა, ჩვენ უხერხულად ვსცანით სამოსწავლო წლის მსვლელობის დროს შემოვსულიყავით ასეთი კანონით, არის აგრეთვე ბევრი ტეხნიკური დაბრკოლება, რომელიც გვაიძულებდა მომავალ წლისათვის გადაგვედვა საღვთო სჯულის საკითხის გადაჭრა.

მაგრამ რა კი სასკოლო კომისიამ შემოიტანა ასეთ კანონ-პროექტი, ჩვენ საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. ხოლო უნდა აღვნიშნო, რომ კანონ-პროექტში არის ისეთი მუხლები, რომელიც პრინციპს არღვევს. ჩვენ ვსპობთ საღვთო სჯულის სწავლებას სკოლებში და ამავე დროს პრივილეგიებს ვქმნით მუსულმანებისათვის. არავითარი გასამართლებელი საბუთი არ არის ასეთი პრივილეგიების შექმნისათვის და ამ ორი მუხლის შესახებ ჩვენ წინააღმდეგობას ვაცხადებთ.

**შ. ქარუმიძე** (დამოუკ. ნ.-დ.) წინააღმდეგია საღვთო სჯულის სწავლების მოსპობისა. ორატორი ამის სინდისის თავისუფლებად კი არა სთვლის, არამედ განთავისუფლებად ყოველგვარი სინდისისაგან და აღნიშნავს, რომ ასეთ რამეს ადგილი არ ჰქონია თვით საფრანგეთის რევოლიუციაშიც: მოჰყავს აგრეთვე მასწავლებელთა (რუსეთის) ექსივე ყრილობის დადგენილება, რომელიც საღვთო სჯულის სასარგებლოდ არის გამოტანილი.

**სპ. კედია** (ნ.-დ.) ბატონებო! ხშირად ისეთ სამწუხარო შეცდომებს ჩავდივართ, რომელიც საბედისწერო ხდება ჩვენთვის: მივიღებთ სწრაფად და შეუსწორებლად კანონს და ცხოვრებაში გატარების დროს დაბრკოლებები გვეღობება.

ქრისტიანიზმი და მისი მორალი, ეს ბურჯი, რომელიც სწრთვნიდა ქართველ ერს, რადგან იგი შეიცავდა ეროვნულ მცნებას, ბურჯი, რომელმაც მოგვცა საუკეთესო ნიმუშები ქართული ხელოვნებისა და მწერლობისა, ეს ბურჯი, რომლის მქადაგებლებს აუგიათ უუმშვენიერესი ტაძრები, ყველაფერი ეს უნდა გავანადგუროთ გუშინდელი კანონის ძალით (**ვლ. მგელაძე** ადგილიდან: ჩვენ ამას არ ვსპობთ, მუზეუმებში შევინახავთ). და ნადგურდება ეს ისე, რომ საზოგადოებაში არც კი გამხდარა შეჯიბრების საგნად. ეს ჩვენი უკულტურობის მომასწავებელია. ჩვენი პარლამენტიც ხელს უწყობს ამ უკულტურობას და აჩქარებით იღებს ასეთ კანონებს. ამ კანონით ვაცალიერებთ ხალხის ნამდვილ შინაარსს და სამაგიეროს არაფერს ვაძლევთ. ჩვენ არც გვაქვს უფლება ხალხის დაუკითხავად წავართვათ მას ის, რაც საუკუნეთა განმავლობაში მას სწვრთნიდა. და თუ ეს მოხდება, უნდა მოხდეს ევოლიუციის გზით, ეს უნდა იყოს ხალხის ზრდის შედეგი.

სპ. კედიას შემდეგ ლაპარაკობენ აკ. ფალავა (ს.-ფედ.) და რ. ივანიცკი (ნ.-დ.) რომელთა ანგარიშს ხვალინდელ ნომერში მოვათავსებთ.

# ზავის გარშემო

### გერმანიის პირობები.

**გერმანული პრესა.** ნოემ. 18 ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობათ: დროებითი ზავის პირობები დიდ საფრთხეში აგდებს და ემუქრება რეინის მარცხნით მდებარე ადგილების ეკონომიურ მდგომარეობას და მის დამოუკიდებლობას გერმანიასთან. თუ დროებითი ზავის მკაცრი პირობები არ შემსუბუქდა, იმ შემთხვევაში იმის გამო, რომ რეინის მარცხენა ნაპირს მჭიდრო ეკონომიური კავშირი აქვს გერმანიასთან, ჩვენს არსებობას საფრთხე მოელის და შესაძლოა რომ მშვიდობიანი განვითარება, რომელსაც უკვე დაადგა ჩვენი ხალხი, ისევ შესწყდეს. ამგვარად ჩვენში ფეხს მოიკიდებს არა სასურველი ბალშევიზმი, რომელიც მეზობელ სახელმწიფოებისთვისაც საშიში იქნება, რომ ეს არ მოხდეს, ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია დროებითი ზავის პირობათა შემსუბუქება და მათი შეცვლა პრაქტიკულად განხორციელებისათვის შემდეგნაირათ: 1) პრინციპიალური თანხმობა, რომ ეკონომიური ურთიერთობა რეინის მარცხენა ნაპირის მთელ გერმანიასთან და საზღვარ-გარეთთან არ უნდა დაირღვეს სამხედრო ოკუპაციის დროსაც. 2) შემდეგ საყურადღებო მუხლების დეტალური განსაზღვრა: ა) რეინის მარცხენა ნაპირზე, ძველი იმპერიის ტერიტორიის საზღვრებში, ნახშირის და სპილენძის მაღაროთა ექსპლოატაცია ძველი სახელით გერმანულ მესაკუთრეთა მიერ. ბ) ნახშირის და სპილენძის გაზიდვის უფლება რეინზე და მარჯვენა რეინის გერმანიაზე. გ) რეინით სარგებლობა ტრანსპორტისთვის ძველი გერმანიის სახელმწიფოს საზღვრებში. დ) გემების თავისუფალი შემოსვლა როტერდამსა და ზღვის ნაპირზე, ჩრდილოეთისა და ბალტის ზღვიდან გერმანიაში ნახშირის და სურსათის შემოსატანათ. ე) დათმობილ ადგილებში რეინის გზით თავისუფალი სარგებლობა. ზ) რეინის მარცხენა მხრიდან სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებულთა ტყვეთ წაყვანის აკრძალვა. თუ გინდ ისინი სამხედრო ფორმას ატარებდენ. ი) რეინის მარცხენა ნაპირზე სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებებმა უნდა განაგრძონ მოქმედება. კ) დათმობილ ოლქებში შეიძლება საქონლის ჩამორთმევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს იმ ოლქებში მყოფ ჯარისკაცთა დასაკმაყოფილებლათ. ლ. რეინის მარჯვენა მხარეზე დაცლილ ადგილებში და ნეიტრალურ ქვეყნებში, ტელეფონის, ტელეგრაფის და ყოველგვარ საფოსტო საქმეების თავისუფლათ წარმოება და რეინის მარცხენა მხრიდან მარჯვენა მხარეზე ყოველგვარ სურსათის თავისუფლათ შემოზიდვა მ) საბაჟო საზღვრათ უნდა დარჩეს ძველი სახელმწიფოს საზღვარი ლიუკსენბურგით, რომელიც გერმანიის საბაჟო კავშირს ეკუთვნის.

### სურსათის საქმე.

რადგანაც სამართლიანი წესდებები საზავო ხელშეკრულებაში იქნება შემუშავებული, ამიტომ ბაჟების აღება ხდება ძველ საიმპერიო საზღვარზე გერმანიის საბაჟოს მოხელეთა მიერ. შემდეგ გერმანიის მოხელეთ, შემოზიდვის, გაზიდვის და ამ საზღვარზე ტრანზიტის შესახებ გერმანიის მთავრობის განკარგულებანი სისრულეში მოჰყავთ. შემდეგ ჩვენ იძულებული ვართ აღვნიშნოთ, რომ 5000 ორთქლმავალის და 150000 ვაგონის გადაცემა ახლანდელ მდგომარეობაში, გვაკლებს საშუალებას რამდენადმე მაინც უზრუნველვყოთ ჩვენი ქალაქები სურსათით. ჩვენ არ გვექნება საშუალება თუნდ ერთი კვირით უზრუნველვყოთ მცხოვრებნი სურსათით და რადგან აღმოსავლეთში, დასავლეთში, ჩრდილოეთში და სამხრეთში ერთნაირი მდგომარეობა იქნება, ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ მას, რომ სახელმწიფოს სხვა და სხვა ნაწილში ერთსა და იმავე დროს, ტრანსპორტის დაბრკოლების გამო, მოხდება აჯანყება შიმშილის ნიადაგზე, რომელიც ვინ იცის რა შედეგს მოიტანს.

გთხოვთ აგვიხსნათ დაწვრილებით, სად შეუძლია ჩვენს წარმომადგენლებს შეხვდნენ შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ზემო ჩამოთვლილ საკითხების განსახილველად.

რადგანაც სატრანსპორტო საკითხი დღითი დღე მწვავდება, ფრონტიდან წამოსული მასა კი ორგანიზაციას დარღვევას უქადის. გთხოვთ დრო არ დაკარგოთ, რომ შეძლება მოგვცეთ შემდეგშიაც დავიცვათ წესიერება. საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარი, სოლფი.

ინგლისური პრესა. ნოემბრის 18.

„ფრანკფურტერ-ცაიტუნგ“-ს აუწყებენ, რომ ადმირალი ტირპიცი შვეიცარიაში გაიქცა.

ოსმალეთის მთავრობამ უბრძანა მოსულში მდგარ სამხედრო ძალთა უფროსს მიიღოს გენერალ მარშალის პირობები ქალაქის დაცლისა და მეციხოვნე ჯარის მიერ იარაღის დაყრის შესახებ.

ფიქრობენ, რომ მესოპოტამიაში მყოფ გარნიზონების დანებებამ მშვიდობიანათ ჩაიარა.

### კოლონიების დაცლა.

დროებითი ზავის პირობების თანახმად აღმოსავლეთ აფრიკაში ნოემბ. 14 კასმის სამხრეთით, მდინარე ჩამბეზისთან, დაგვნებდა გერმანელთა სამხედრო ძალა ფონ-ლეტივ ფორშეკის მეთაურობით. კვირას მოკავშირეებმა დაიწყეს წინსვლა რეინისკენ. დილა ადრიანად მცირე რაზმები მუსიკით და სიმღერით გზაზე გავიდა. ჯარმა დილის 9 საათზე გაიარა სადარაჯო პოსტები, რომლებიც დროებითი ზავის ხაზზე დგას. ფრანგებმა მთელ ფრონტზე საზღვარი გადალახეს და ბელგიაში დაპყრობილ პროვინციებში შევიდნენ. მოკავშირეთა მიწა-წყალზე მოწინააღმდეგის არც ერთი ჯარისკაცი არ დარჩენილა.

# ღამის თევა

მე ამ ღამეს, ნაცნობ ღამეს, გავათენებ ნათლად.
შავი სევდა შარგუნა მან სიხარულის ნაცვლად.

ვზივარ მარტო. არ მაშორებ თვალთა ხედვას მწუხარს
ვარდის ფერად მოღაღანეს ჩემს მეგობარ მუხარს.

აი, ეხლა შიგ ჩავაგდებ უკანასკნელს წერილს,
ჩემის თვალით დავინახავ ჩემი გულის ფერილს...

რაღა დამრჩა მე ამ ქვეყნად კიდე ამის გარდა?
მძიმე რხევით ჩამოეშვა ჩემს წინ ბნელი ფარდა.

დედის ცრემლიც ვერ გამიხსნის ტევრად შეკრულ წარბებს,
სული ნაღველს დაეწაფა, თაფლივით იხარბებს;

წამოვდექი. ძირს დაეცა ჩემი გრძელი ჩრდილი,
დავაჩერდი ზევიდან მას გულ-ხელ დაკრებილი.

მე ჯერ კიდე ცოცხალი ვარ,—ეს ლანდია მკვდარი.
მე აქა ვარ.., აი აგერ... ნეტავ ის სად არი?

ამ საღამოს სად წავიდა? ნათესავს ესტუმრა?
ნეტავი ვის გაუღიმა, რომელს გაეხუმრა?

ეგებ ვინმეს გაუმჟღავნა გრძნობა დაფარული?
შეევედრა და მიიღო მან თანხმობა სრული?

მერე ის ხომ ხელს შეახებს სიზმარშიც ხელუხლებს?!
მერე ის ხომ მოეხვევა მის უმანკო მუხლებს?!.

მერე ის ხომ.. აჰ, მიკბინა შხამიანმა გველმა!
ტვინი ელვით გამისერა აზრმა საშინელმა!..

იატაკზე შეტორტმანდა ჩემი გრძელი ჩრდილი,—
სავარძელში ჩავიკეცე მუხლებ მოკვეთილი...

სად წავიდე? გულის ტკივილს რაღა დამიყუჩებს?
კვნესა მაინც არა სძაგდეს ჩემს შეკუმშულ ტუჩებს?..

ქ ჭ-ჭინაძე.

### მოკავშირეთა ქვეყნებში.

ფრანგული პრესა, ნოემბ. 18. გერმანია მოკავშირეებს შეეკითხა, სად და როგორ ჩააბაროს თავისი წყალქვეშა ნავები, ჯავშნოსანი ფლოტი, როგორც იარაღის ასაყრელად, ისე დასაკავებლად.

ამერიკის შეერთებულ შტატების სამხედრო მინისტრმა განკარგულება გასცა ნაწილობრივი დემობილიზაციის შესახებ.

ფოსტის მუშაობა მთელ ბელგიაში აღდგენილია. სტამბოლთან შეთანხმების სახელმწიფოთა ფლოტი სდგას.

ოფიციალურ ცნობების მიხედვით 1914 წლის საზღვრებში არც ერთი გერმანელი ჯარისკაცი აღარ არის. ჩვენ დავიპყარით მარენბურგი, ფიუმე, ბუიონი, ლორენი, სედანი და შევდივართ მორმანუში, დეიზეში და მეტცის ფორტებში, ელზასში, ლედუანში, შორმეკში, სენ-მარიში კოლმასის შესავალთან შელგიტადტის მაღაროებში და ენზიგეიმში. გენ. კირნაუერი მიულჰაუზენში შევიდა.

# რევოლიუცია გერმანიაში

### ფორვერტსის აზრი

„ფორვერტსის" მოწინავე წერილში „სოციალიზმის ტენდენცია" სწერს: „ომის განმავლობაში სოციალისტურ უმრავლესობასა და დამოუკიდებელ სოც.-დ. შორის მოხდა განხეთქილება, რომელიც გამოიწვია სამხედრო სესხის საკითხმა. ეს საკითხი აღარ არსებობს. მისი ადგილი სხვა საკითხებმა დაიჭირა. ორივე სოციალისტური პარტიები ამიტომ ეხლა ერთად მუშაობენ. მიუხედავად ამისა ორგანიული კავშირი მათ შორის აქამდე მაინც ვერ იქმნა აღდგენილი რომლის მიზეზია ძმათა შორის ომით გაჩენილი წყლულები, გრძნობის გავლენით წარმოშობილი. ამ ოპოზიციას მიემატა ძლიერი ოპოზიცია იმის გამო, რომ სოც. დემ, ერთი ნაწილი დაშორდა სოციალ დემოკრატიულ პლატფორმას და წინააღმდეგ წავიდა სოციალისტების უმრავლესობის და დამოუკიდებლობის დიდი ნაწილი, რომელნიც აქამდე წინანდელ პლატფორმაზე დგას. ს. დემ: პროგრამა მოითხოვს, რომ დემოკრატიულ კონსტიტუციის მისაღწევად ყოველგვარ საშუალებით სწარმოებდეს ბრძოლა- როგორც კი მიიღო თვით გამორკვევის უფლება ხალხმა, იმავე პროგრამის თანახმად უნდა გადასწყვიტოს, თუ როგორი რესწყობილება სურს, ზემო აღნიშნულ დემოკრატიულ მცნებას ეწინააღმდეგება ძალადობის უწესრიგო თეორია სპარტაკის ჯგუფისა, რომელსაც სურს პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში გამარჯვებით საკუთარი მსოფლმხედველობა თავს მოახვიოს მთელ საზოგადოებას. სპარტაკის ჯგუფის შეცდომა ის არის, რომ მათ სრულებით არ გაუმარჯვნიათ და თავის თავი კი მუშათა კლასის გამომსახველად მიაჩნიათ. მუშათა კლასი არ იზიარებს სპარტაკის ჯგუფის პლატფორმას, რადგან იცის, რომ საბოლოო გამარჯვებას იგი მოიპოვებს. ეხლა დღის ლოზუნგია ამ არჩევნებისთვის მზადება „ფორვერსტი" მოითხოვს დამოუკიდებელთა ერთი ნაწილის სპარტაკის ჯგუფისადმი დამოუკიდებლების გამორკვევას, რათა პარტიამ ერთნაირი და მტკიცე პოზიცია დაიჭიროს". წერილი ასე თავდება: „მას შემდეგ, რაც საერთო და ფედერატიუ სახელმწიფოთა სოციალისტურმა მთავრობებმა დაადგინა ეროვნულ დამფუძნებელ კრების მოწვევა და ამასთანავე ჰაერში დაკიდებულ პრობლემათა გადაწყვეტა, ყოველივე გამოურკვევლობა დამოუკიდებელთა შორისაც, უნდა მოისპოს, ჩვენთან არსებობს ერთი გზა: სახალხო მართველობით სოციალიზმისაკენ".

### დამფუძნებელი კრება.

2 იანვარს 1919 წ. დანიშნულია საარჩევნო ფურცლების გამოქვეყნება. 2 თებერვალს 1919 წ. დამფუძნებელ კრების არჩევნები.

# უცხოეთი

(დეპეშები)

### რევოლიუცია ევროპაში

**რევოლიუცია ჰოლანდიაში.** სტოკჰოლმი 15 ნოემბერი. გუშინ ინგლისის ქვეითა პალატაში ხმა გავრცელდა, რომ ჰოლანდიაში რევოლიუციაა. ჰოლანდიაში დაარსდა საბჭოები. საღამოს გაზეთები ამტკიცებენ ამ ცნობებს. მთავრობა ხცდილობს შექმნას თეთრგვარდიელთა რაზმი. გაზეთების სიტყვით ჰოლანდიაში უკვე საბჭოთა რესპუბლიკაა. რევოლიუციონური მოძრაობაა დანიაში, ბელგიაში და შვეიცარიაში.

**სტოკჰოლმი 15 ნოემბერი.** ბელგიაში რევოლიუციონური მოძრაობა გრძელდება. გერმანელი ჯარისკაცები იბრძვიან ოფიცრებსა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, დანიაში, კოპენჰაგენის ქუჩებზე 3 დღეა, რაც ბრძოლა და სისხლის ღვრაა. რის შედეგსაც ბურჟუაზიული პრესა მალავს. შვეიცარიაში რევოლიუციონური მოძრაობა ვითარდება, დაწვრილებით ცნობებს ბურჟუაზიული გაზეთები მალავენ.

**ხარკოვი, 17—11.** უკრაინის მემარცხენე ესერები მრავლად ავრცელებენ პროკლამაციებს. პროკლამაციაში ნათქვამია საყოველთაო აჯანყების დრო უკვე დადგა, უნდა მხნედ ვიყოთ, მებრძოლი რაზმები მხოლოდ მოქმედების დაწყებას ელოდებიან.

### რუსეთი

**მოსკოვი. 19 ნოემბ.** როსტოვი, 17 ნოემ. დონის მთავრობის ოფიციოზმა ბოლო დროს კილო იცვალა და მოუწოდებს მეტის დაკვირვებით აწარმოვონ ბრძოლა ბოლშევიკებთან, რადგანაც მოკავშირეთა რეალური დახმარება არც ისე ჩქარაა მოსალოდნელი. ცნობა მოვიდა, რომ სადგური საჟნოე და გოსტიბევი გერმანელთ დაუცლია და ჩვენს ჯარს დაუჭერია. გერმანელებმა ბელგოროდი დასცალეს. მოგილიოვის ტერიტორიის დაცლის შესახებ გერმანელმა კომენდანტმა განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობისაგან ბრძანება აქვს გაანთავისუფლოს რუსეთის ტერიტორია.

### მეფის გადადგომა.

ინგლისურ პრესის ცნობით ავსტრია-ჰუნგრეთის მეფე კარლოსი ტახტიდან გადადგა.

# ახალი ამბავი

◆ **ინგლისელები და ადერბეიჯანი.** როგორც ბაქოს გაზეთი „აზერბეიჯან"-ი გადმოგვცემს, ნოემბრის 17-ს ბაქოში ადერბეიჯანის მთავრობამ მოწოდებით მიმართა მცხოვრებთ, სადაც ნათქვამია, რომ ენზელში მყოფ ინგლისელთა ჯარების უფროს გენერალ ტომსონთან მოლაპარაკების შემდეგ, დღეს ადერბეიჯანის დედა-ქალაქ ბაქოში შემოვა ინგლისელთა რაზმი. ეს შემოსვლა მტრული ხასიათისა არ არის, რომელიც დაარღვევდეს ადერბეიჯანის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიალურ მთლიანობას.

ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებმა უნდა განაგრძონ მუშაობა და ჩამოყალიბება, როგორც წინედ.

მთავრობა მოუწოდებს მცხოვრებთ, დაიცვან წესიერება და მეგობრულად შეჰხვდნენ ბაქოში შემოსულ მოკავშირეთა რაზმს.

◆ **კავკასიის ერთა კონფერენცია.** სომეხთა წარმომადგენელმა ჯამალიანმა გარეშე საქმეთა მინისტრს აუწყა, რომ კავკასიის ერთა კონფერენციის საკითხი სასწრაფოდ შეტანილია სომხეთის პარლამენტში და საბოლოო გადაწყვეტილებას ამ დღეებში ჩამოსული საგანგებო შიკრიკი ჩამოიტანსო.

◆ **სომხების ავანტიურა.** ტფილისში მყოფმა ადერბეიჯანის რესპუბლიკის დიპლომატიურმა რწმუნებულმა ჯაფაროვმა სომხების წარმომადგენელ ჯამალიანს შემდეგი ნოტა გაუგზავნა: იმ ცნობების მიხედვით, ჩემს მთავრობას რომ მოეპოვება, ნოემბრის 2-ს სომხის სამხედრო ნაწილებმა გადალახეს ადერბეიჯანის რესპუბლიკის საზღვრები და შეიჭრნენ განჯის მაზრის მეცხრე ნაწილის მიდამოებში, გოგჩის ტბის ჩრდილოეთ მხარეს. ადგილობრივმა 60 ათასმა მცხოვრებმა მაჰმადიანმა ამ ჯარებისაგან განიცადა ცარცვა-გლეჯა და ძალმომრეობა.

გაცნობებთ-რა ამას, ჩემის მთავრობის სახელით გიცხადებთ პროტესტს და გთხოვთ, თქვენს მთავრობის გულისყურამდე მიაწვდინოთ, რათა მან მიიღოს სწრაფი ზომები განჯის მაზრის მაჰმადიანთა მიმართ ძალადობის ასალაგმავად და ადერბეიჯანის ტერიტორიის სომეხთა ნაწილებისაგან გასაწმენდათ.

◆ **თათბირი.** ნოემბრის 19-ს მოხდა ბჭობა, რომელსაც დაესწრნენ ნოე ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი, ირაკლი წერეთელი, სტამბოლიდან ჩამოსული სომეხთა სამშვიდობო დელეგაცია და დიპლომატიური წარმომადგენელი ჯამალიანი. განხილულ იქმნა კავკასიის ერთა კონფერენციის მოწვევისა და სხვა საკითხები. თათბირმა იმედი გამოსთქვა, რომ სომეხ-ქართველთა ყველა გაუგებრობა და სადავო საკითხები კონფერენციაზე მშვიდობიანად გადაწყდებაო.

◆ **სომეხთა შემოხვლა.** ჯამალიანმა თხოვნით მიმართა გარეშე მინისტრს, რომ ნება მიეცეთ სანაინში დაკავებულ სომხებს, რიცხვით 250 კაცს ტფილისში წამოსვლისა, რადგან ისინი საქართველოსაკენ მაშინ მოდიოდნენ, როცა საქართველოს მთავრობას შემუშავებული არ ჰქონდა სახელმწიფოში შემოსვლის კანონიო. მინისტრმა ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

◆ **ერობა.** დუშეთის მაზრაში ერობის არჩევნები უკვე დამთავრდა. ზუგდიდში საერობო არჩევნები დეკემბრის პირველს დაიწყება.

◆ **დაჯარიმება.** მილიციის უფროსის განკარგულებით თავის დროზე იარაღის ჩაუბარებლობისათვის 1,000 მანეთით დააჯარიმეს საიუნ-კიაზ-ოღლი.

◆ **საქართველოს სამხედრო გზა.** ჩრდილო კავკასიაში მყოფმა რუსთა ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელმა მ. ანდრეევმა რუსთა ეროვნულ საბჭოს აცნობა, რომ ამ მოკლე ხანში თოვლის გამო შესაძლებელია საქართველოს სამხედრო გზაზე მოძრაობა შესწყდესო. რუსთა საბჭომ დაადგინა ეს ამბავი აცნობოს საქართველოს გზათა მინისტრს.

◆ **ნატანებში დარჩენილი რუსები.** რუსთა ეროვნულმა საბჭოს მთავრობასთან შუამდგომლობა აღძრა, რათა დახმარება აღმოეჩინოთ იმ რუსებს, რომელნიც ბათომში მიემგზავრებოდნენ და ნატანებში გააჩერეს. მთავრობამ აღუთქვა რუსებისათვის იმ ხარჯების მიცემა, რაც მათ ნატანებში გაჩერებით მოუვიდათ.

◆ **ექვსი მილიონი მანეთი.** მთავრობამ ტფილისის ქალაქის გამგეობას სესხად მისცა ექვსი მილიონი მანეთი გამგეობის მოსამსახურეთა ჯამაგირების დასახმარებლად.

◆ **კონცერტი.** ქართ. სამ. საზოგადოება შაბათს, ნოემბრის 23-ს მართავს საინტერესო კონცერტს ლ. ს. ბენდიცკის (როალი) გ. ი. ზალიპსკის (სიმღერა) ნ. დ. ჩერეპნინის და ქართულ სამუსიკო სკოლის კვარტეტის მონაწილეობით, ბილეთები იყიდება ვერის სამუსიკო მაღაზიაში (გოლოვ. პრ. № 8).

◆ **ხოლერა.** ნოემბრის 19-ს ქალაქის საავადმყოფოში ხოლერიანი არავინ მიუყვანიათ. მორჩა და გამოეწერა ერთი. ამ ჟამად საავადმყოფოში მხოლოდ ირიცხება 23 ხოლერიანი და 3 ეჭვით ავადმყოფი.

◆ **სტუდენტთა კრება.** კვირას, ნოემბრის 24-ს, დილის 11 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზში შესდგება კრება ამავე უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის სტუდენტებისა განსახილველია ძველი გამგეობის მოხსენება და ახალის არჩევა. კრება მეორედ ინიშნება და წესდების ძალით კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. **კავშირის გამგეობა.**

◆ **დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი"** დღეს კლუბთან არსებ. ქარსახ. წარმ. მმართვ. წრე მართავს მორიგ წარმოდგენას წარმოდგენილი იქნება გარდელის 4 მოქ. დრ. „გაწყვეტილი სიმი". ბილეთების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღამოს სრულ 7 საათზე.

◆ დღეს, ნოემბრის 21-ს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია: 1. სერ. ჟორჟოლიანისა „პოლიტიკური ეკონომია", 2. ინჟ. ი. ალშიბაია „ელექტრონისა და ორთქლის ძალა".

◆ **მკვლელობა.** ნოემბრის 19-ს ლერმონტოვის ქუჩაზე იქ აკოფიანცმა პირად შეურაცხყოფის ნიადაგზე ოსმალური ხიშტით დაჩხვლიტა და მოჰკლა კონსტანტინე სოფიანცი.

◆ **ქურდობა.** ნოემბრის 19-ს პეტრე დიდის ქუჩაზე დღისით სააქციონერო საზოგადოების ინსპექტორ ჩხატარაიშვილის ბინაზე, მის შინ არ ყოფნის დროს შეიჭრნენ ქურდები როცა მათ ორი ჩემოდანით ნაპარავი ნივთები გამოჰქონდათ ბინის პატრონმა მიასწრო და მილიციონერების დახმარებით დააპატიმრა ქურდები აღმოჩნდნენ მ. მთავრიშვილი, ვ. ბრიაშვილი.

◆ **ძარცვა** ნოემბრის 19-ს ფეიერვერკერის ქუჩაზე ბოროტ-მოქმედნი თავს დაესხნენ და გაძარცვეს ვინმე ჩიტიანცი, რომელსაც 2500 მან. წაართვეს.

◆ **დაპატიმრება.** მილიციის უფროსის განკარგულებით სამი თვით დააპატიმრეს პავლე სვეჩინი, როგორც საზოგადოებისათვის მავნე პირი.

◆ **ლტოლვილი სომხები.** როგორც გადმოგვცემენ კავკავიდან ტფილისისაკენ ფურგუნებით მოემგზავრება 6,000 ლტოლვილი სომეხი, სომხეთში წასასვლელად.

# საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

**კრება ნაძალადევში.** პარასკევს, ნოემბრის 22-ს სოციალისტ ფედერალისტთა ბიუროში მოხდება ჩვეულებრივი კრება. ამხ. სამსონ ფირცხალავა წაიკითხავს მოხსენებას: „დამოუკიდებლობის განვლილი დღეები".

---

**მუშათა კავშირის გამგეობის კრება.** პარასკევს, ნოემბრის 22-ს საღამოს სრულ 6 საათზე დანიშნულია მუშათა კავშირის გამგეობის კრება, ყველა წევრისთვის დასწრება აუცილებელია.

**სოფ. მუხრანი.** ამ სოფელში მე და რამოდენიმე ამხანაგს მოგვიხდა მუშაობა დუშეთის საერობო არჩევნების მოსაწყობად. გლეხებს დაწვრილებით გავაცანით ჩვენი მოძღვრება. ჩვენთან მუშაობდნენ სოციალ დემოკრატებიც, მაგრამ ჩვენმა მოძღვრებამ უფრო დააკმაყოფილა ხალხი და ჩვენმა სიამ დიდი უმრავლესობა ხმებისა მიიღო. როგორც ყველგან, ამ სოფელშიაც სოციალ-დემოკრატების სიას ხმა მისცეს მარტო სომხებმა.

პარასკევს, ნოემბრის 8-ს ადგილობრივ სკოლის შენობაში მოხდა ჩვენი პარტიული ამხანაგების კრება. კრება მრავალ რიცხოვანი იყო და შესდგებოდა მხოლოდ გლეხებისაგან (გარდა ორი მასწავლებლისა). კრების მიზანი იყო:

1. დაარსება სოც.-ფედ. სარ. პარ. ორგანიზაციისა.
2. ჩვენი პროგრამის მთავარ დებულებების განმარტება
3. საერობო არჩევნები და მისთვის სამზადისი
4. პარტიული კომიტეტის არჩევა.

კრება გახსნა სოც.-ფედ. რწმუნებულმა ბ ლაბარტყავამ და მოუწოდა ერთხმით კრების თავმჯდომარე. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ლადო ზეიკიძე, მდივნად კი ბ. ლაბარტყავა.

ყველა ზემოხსენებული საკითხები დაწვრილებით იქნა განმარტებული რის შემდეგ არჩეულ იქნა პარტიული ორგანიზაციის ბიურო:

1. ვასო მაყაშვილი—თავმჯდომარედ.
2. ლადო ზეიკიძე—თავმჯდომარის ამხანაგად.
3. გიორგი ზეიკიძე.
4. ალექსა ცქიმანაური.
5. გიორგი ოსკანაშვილი. ყველა ესენი მიწის მუშაა.
6. ელენე მარინაშვილი მდივნად. (მასწ.).
7. სათო ოსკანაშვილი კოოპერატორი.

მათ კანდიდატებად: 1) გიორგი მეედლიშვილი (მიწის მუშა). 2) ვ. ზეიკიძე (მიწის მუშა).

ვუსურვებთ ამ ახალ ორგანიზაციას მხნე მუშაობას.

სტ ბარნაბა ლაბარტყავა.

# ცოტა რამ ფშავ-ხევსურეთზე

ფშავ-ხევსურეთიც სხვა საქართველოსთან ერთად ას ოცს წელიწადს იყო რუსეთის მონობაში. ამ ხანმა ისე განვლო, რომ მთავრობას მისთვის არაფერი ურგია.

იქ არ მოიპოვება დღეს საურმე გზაც კი, არ არსებობს არც ერთი სკოლა, არც საფერშლო პუნქტი და საავადმყოფო; არა გვყავს არც დოქტორი და ფერშალი და სხვანი და სხვანი.

ფშავ-ხევსურები მისდევენ სასოფლო მეურნეობას: ხვნა-თესვას, ცხვარ-ძროხის მოშენებას, მეფუტკრეობას ქალები ჰქსოვენ ზეერნაირს შალს, ფარდაგ ხალიჩას, ჯეჯიმ-ხაჩინას, წინდა-პაიჭს; თაველებს და სხვა.

მაგრამ (გარდა ამ უკანასკნელისა რომელსაც ყაისნაღით ჰქსოვენ) ყოველივე კეთდება პრიმიტიულად, დღეს ფშავ-ხევსურეთში არ არის არც ერთი პუნქტი, სადაც ინსტრუქტორი ასწავლიდეს ან ერბო-ყველის კეთებას, ან შალეულის და ფართლეულის გაუმჯობესებულ სტანოკზე მუშაობას და ეს უკანასკნელი კი ისე დაინტერესებდა ყოველს ფშაველის ქალს, რომ სულ ერთი ორი წლის განმავლობაში გაადვილებული და გაუმჯობესებული წარმოება შეიჭრებოდა ფშავ-ხევსურების ოჯახებში და სასწაულს მოახდენდა. ჩვენდა საუბედუროდ ფშავ ხევსურეთს მთავრობა და საზოგადოება ჩვენი უყურადღებოდ ეკიდება. რაც დღესამდე არ იყო, არც დღეს არის და არც ვინ სცდილობს ხალხს მისცეს ისა, რაც ესაჭიროება. თუ რამე კეთდება, ისევ სხვაგან კეთდება, ჩვენ კი ისევ უგზო ყოფნაში ვრჩებით,

ფშავ-ხევსურეთი თითქო ძალად ეკოწიწება საქართველოს რესპუბლიკას.

თორემ განა დასაჯერებელია, რომ ფშავ-ხევსურეთში დღეს არც ერთი სკოლა არ არის და მართალი კია ესა.

განა ცოტა სტიპენდია აქვს ჩვენს წერა-კითხვის საზოგადოებას, ან სამინისტროს? ამ სტიპენდიებით განა ერთი და ორი გაზრდილა და იზრდება ლიხს იქითელი და აქეთელი.

რატომ ან სკოლებს არ გვიხსნიან, ან რატომ სტიპენდიებს ჩვენს შვილებსაც არ უნიშნავენ. განა ჩვენ ნობელ-როტშილდები ვართ, რომ ხელის კიდება არ გვესაჭიროებოდეს?

განა რომ... მაგრამ ეს დარჩეს და ჩვენმა საზოგადოებამ და მთავრობამ კი ყურადღება მიაქციოს ამიერიდან მაინც უბედურს ფშავ-ხევსურეთს.

ამას წინად ამოტყვრენილ ბოლშევიკურ მოძრაობაში მონაწილეობა არ მიუღია არც ერთს ფშაველს და ხევსურს თიანეთის მაზრისას.

პირიქით, როცა ოსმალეთი შემოიჭრა ბათუმის ოლქში მაშინ ოცდაათი ფშაველი გმირულად იბრძოდა ქოროხზე და ნატანებთან.

არა ჩვენიდან რომ სამსახურს თხოულობენ, იმასაც ყური უგდონ, რასაც ჩვენა ვთხოულობთ, რომ მამის ნაცვლობა არ დავსწამოთ და ალბანეთსავით სხვაგნისკენ ცქერა არ დავიწყოთ. თორემ დღეს ფშავ ხევსურეთი თითქოს მოწყვეტილია საქართველოს. თიანეთის სამაზრო კომისრებიც არ ამოდიან იქა, არ სცდილობენ გაიგონ, რა უჭირს და რა ულხინს ხალხს. ფშავ ხევსურეთის კერძოს კომისარი ილიკო ფიცხელაურიც სულ თიანეთში ზის და ფშავ-ხევსურეთში რა ხდება არავინ უწყის ასე რომ ფშავ ხევსურეთი ადმინისტრატიულად და ზნეობრივად მოწყვეტილია საქართველოს რესპუბლიკიდან განაგრძობს პატრიარქალურ სალათას ძილსა.

ეს კარგი არ არის. მთავრობამ უნდა ყური უგდოს ფშავ-ხევსურეთის დადებითი ინტერესებს, რომ ესენიც შეაჩვიოს თავის სამსახურს და ამნაირად ეს მხარე მტკიცედ შეაკავშიროს საქართველოს რესპუბლიკასთან.

კიდევ ორიოდე სიტყვა. მეორე წელიწადია, რაც ფშავ-ხევსურებს მთავრობამ მთაზე მილიციის დაყენების ნება მისცა და თოფები დაურიგა ხალხს. მაგრამ ამგვარი მილიცია თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს. ხჯობია მთავრობამ ფშავ-ხევსურთა ყმაწვილკაცობა ჯარში გაიწვიოს და გაწვრთნოს იგი სამხედრო სამსახურში მთებზე კიდე, იქ, სადაც ქისტების გადმოსასვლელი გზებია გაწვრთნილ ჯარის კაცები დააყენოს გამოცდილის ოფიცრის ხელმძღვანელობით.

იძახიან: „მთავრობა იარაღს ჩამოართმევს ხალხსაო“. ღმერთმა დაიფაროს, რადგანაც იარაღი მთის ხალხს უყვარს და კიდეც იცის მისი მოხმარება, არც ხმარობს ბოროტად. როგორც სხვაგან ხმარობენ, კიდეც ესაჭიროება, როგორც საქისტო ფრონტის მომთაბარე ხალხს, რომელიც განიცდის შინ და კარში ათასგვარ აკლება-აწიოკებას ავაზაკებისაგან. ამას გარდა იარაღის რთმევა ადვილად გამოიწვევს აჯანყებას, ხოლო აჯანყებას რომ კარგი ბოლო არსად ჰქონია—ეს ყველამ უწყის.

**ნიკო რაზიკაშვილი (ბაჩანა).**

# მღვდლის თავგასულობა

რედაქციას მოუვიდა გორის მაზრის სოფ. მეღვრეკისის მცხოვრებთა წერილი, რომელსაც ხელს აწერს ორმოცდა ჩვიდმეტი კაცი.

წერილში მცხოვრებნი უჩივიან მღვდელ მალაქია ლომიძეს, რომელიც რაიონის კომისარის და მილიციონერების დახმარებით დაჰრევია სოფელს და დრამა აუკრეფია. დაუტეხნიათ სახლები და ბევრისათვის ნაყიდი სარჩო წაურთმევიათ. საჩივარში ჩამოთვლილია 6 ისეთი გლეხი, რომელთაც ვაი-ვაგლახით ნაყიდი პური წაართვეს.

წერილში აღნიშნულია აგრეთვე, რომ მღვდელს და კომისარს (რომლის მწერლად მღვდლის შვილია) კუდი კუდზე აქვთ გადაბმული და ერთმანეთის ბოროტებას ჰფარავენ. თვით კომისარი ხალხისაგან ჩამორთმეულ იარაღს ოსებზე ჰყიდის თურმე. მცხოვრებნი მოითხოვენ მთავრობამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და ხალხი დაიხსნას გათავხედებულ მღვდლის და რაიონის კომისრის ძალადობისაგან.

# რაჭა-ლეჩხუმის საზოგადოების გამგეობისაგან

ეს ერთი ხანია ბ. ევგენი დვალი სხვა და სხვა ადგილას ჰმართავს ეგრედ წოდებულ „რაჭულ საღამოებს“ და კარგა ბლომა ფულსაც ჰხვეტავს ბევრსა ჰგონია, რომ ეს საღამოები იმართება ჩვენი საზოგადოების სასარგებლოდ და ბევრნი ამას გვეკითხებიან კიდევაც. რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე საზოგადოების მთავარი გამგეობა ამით აცხადებს, რომ მ. ს ბ. ევგენი დვალთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს და იგი არამც თუ არ ეხმარება ამ საზოგადოებას, არამედ თავიდანვე „ბრძოლა გამოუცხადა“. მისი საღამოები კერძოა და საზოგადოება შეცდომაში შედის, რადგან მართლაც წარმოუდგენელია ამისთანა პატარა საქმეში უთანხმოება და „ბრძოლა“ და ყველას ჰგონია, რომ შემოსავალი ჩვენს სასარგებლოდ მიდის. ვაცხადებთ ამას ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

**რაჭა-ლეჩხუმის საზ. მთავარი გამგეობა.**

—

ვსთხოვთ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ. **მ. გ.**

# თეატრი და ხელოვნება

## ქართული სეზონი.

იშვიათი სანახაობა იყო ორშაბათს სახაზინო თეატრი. ქართული წარმოდგენების მოწყურებულს საზოგადოებას გაევსო მთელი უზარმაზარი თეატრი. კანტი-კუნტად გვსმენია, რომ დრამატიული საზოგალოების გამგეობა სეზონისთვის ემზადება, დასს წვრთნიანო და სხ., მაგრამ ამ ნგრევისა და რღვევის პროცესში საზოგადოებას არც დიდი იმედი ჰქონდა და თითქოს ვერც თუ ძლიერ სწყუროდა რომ ქართული თეატრი სდუმდა.

მაგრამ დრამატიულ საზოგადოებას ჩუმად საქმე უკეთებია და 18-ნოემბერს პირველი ნიმუში გამოფინა თავისი შრომისა.

ბევრის მხრით გვაინტერესებს ჩვენ ეს წარმოდგენა: შემადგენლობა დასისა თითქმის სულ ახალია, რეჟისორი ბ ჯაბადარიც ახალი კაცია, გვაინტერესებს თვით რეპერტუარი და სხ. და სხ,, მაგრამ ამ ჟამად ყველა ამას ვერ გამოუდგებით და ცოტაოდენი შენიშვნებით დავკმაყოფილდებით

რას ამბობს პიესის ავტორი? ამ ცოდვილ ქვეყანაზე ყველასი ბედნიერება შეუძლებელია. უბედურნი, მაშვრალნი და ტვირთმძიმენი ქვეყნად არ გამოილევა, არც არავის ძალუძს ტანჯვა-ვაების მოსპობა და მაშასადამე ფუჭია ცდაც სიმართლისა და სამართლიანობის დამყარებისა. უფრო მეტი, ვინაიდან ტანჯვის მოსპობა შეუძლებელია, უნდა ვინმე შეეცადოს ამას თორემ იმ ტანჯულს ილუზია, იმედიც დაემსხვრევა და ტანჯვაც მეტი იქნება და იმ გულუბრყვილო და გულჩვილს პიროვნებასაც იმსხვერპლებს, რომელიც სასოებასაც მოსპობს და სამაგიეროს კი ვერაფერს მისცემს ქვეყნად ბოროტება და სიცრუე ბატონობს, ადამიანთა ხვედრი ტანჯვა-ვაებაა.

აი ეს აზრია ჩაგროვილი ბრიეს პიესაში „სარწმუნოება“.

ავტორს გადავყევართ ნილოსის ნაპირებზე და იქ გვიჩვენებს ეგვიპტელთა და მათი ღმერთების ურთიერთობას. ქურუმნი ქალი და კაცები, ფარაო, მონებისა და ყოველგვარ ღარიბ-ღატაკთა და სნეულ-საპყართა ბრბოები, კერპთმსახურება და ახალი ღმერთების შორეული ხმები, სალვთო როკვა და საყვირ-წინწილანი, აი ფერადები და ჰანგები, რომელთაც ხმარობს ავტორი.

როგორცა ვხედავთ, თემა ერთობ შაბლონიურია, პრობლემის გადაჭრაც არ არის ორიგინალური და მხატვრულის მხრით ფერადთა სიუხვეც არ არის სათანადო სისრულით გამოყენებული. მაგრამ მიუხედავად ამისა და მიუხედავად პიესის სიდიდისა, მაინც სასიამო სანახავი და მოსასმენი იყო ეს წარმოდგენა.

ყველაფერი შედარებითია და როდესაც ჩვენს ძველს წარმოდგენებს ვადარებთ ამ წარმოდგენას, შეუძლებელია არ ითქვას, რომ ჩვენი თეატრი წინსვლის გზას დასდგომია; მას მოუწადინებია არა მარტო თითო-ოროლა ნიჭით გავიდეს იოლად ფონს, არამედ სასცენო ხელოვნებაში ხელოვნება შეიტანოს.

ჩვენ წინ გუშინ ორი-სამი არტისტის გარდა უმრავლესობა პირველად გამოვიდა სცენაზე და პირველადვე ასეთს შედარებით რთულს პიესაში, როგორცაა „სარწმუნოება“.

ამ უკანასკნელ ძიებების დროს სასცენო ხელოვნებაში უფრო განმტკიცდა ის აზრი, რომ უმჯობესია საერთო ანსამბლი იყოს უზადო, ვიდრე დრო და დრო იფეთქოს ერთი რომელიმე ნიჭიერმა არტისტმა და სხვები კი უბრალო სტატისტები იყვნენ. ცხადია რეჟისორს სწორედ ამ მხარისაკენ მიუქცევია ყურადღება და ყოველი მომქმედი პირი, ცდილობდა ხელოვანი ყოფილიყო.

ამ ჟამად ჩვენ არც ჩვენს ძველს ნაცნობ მსახიობებს შევეხებით, როგორც ქიქოძეს, ამირაჯიბს, ბ. [illegible], ზარდალიშვილს და არც იმ უცნობ და ახალ ძალებს, რომელთაც უმნიშვნელო როლები ჰქონდათ, რადგანაც წინ დიდი დრო და საშვალება გვაქვს მათი ნიჭისა და უნარის შესაფასებლად.

ახლა კი აღვნიშნავთ მხოლოდ სამს: ვ. ანჯაფარიძის ქალს იაუმას როლში, მ. გელოვანს სათნის როლში და ვ. ჯიქიას,-ქურუმი ქურუმი.

ქ. ანჯაფარიძე ჭკვიანი და კარგი შემსრულებელი იყო თავისი როლისა. ისიც კი, რაც შესაძლებელია ამ ახალგაზრდა მსახიობ ქალს ნაკლად ჩაეთვალოს, სახელდობრ სინარნარეს და ბგერას მოკლებული ხმა, რომელიც ღრმად გულმკერდში არა ზის, ესეც კი რაღაც უცნაურად ეხმარებოდა მისტიურს ბუნებას იაუმასას, თვით კოლორიტს პიესისას და და საშინელს ბედს მსხვერპლად განწირულ ადამიანისას.

თვით არა მდიდარი ნაკვთიანობა მსახიობი ქალისა (სუსტი, აგებულობა), მიხვრა-მოხვრა, სიარული და ხელები (ჟესტიკულიაცია) ყოველივეს ესვა ერთი მთლიანი სტილის ბეჭედი. თითქმის ყოველი პოზა, ყოველი უცნაური გადამტვრევა ხელებისა დამახასიათებელი იყო და ეგზოტიური. ჯერ-ჯერობით ამით გავათავებთ ქ. ანჯაფარიძის დახასიათებას და შემდეგი როლები დაგვანახვებენ რამდენად შემთხვევითი იყო და რამდენად შეგნებული ეს ჭკვიანი და თავისებურად ლამაზი სახიობა ამ ახალგაზდა მსახიობი ქალისა.

კარგი სალი ხმა, ბედნიერი თვალ ტანადობა და საკმაო ენერგია გამოიჩნდა მ. გელოვანს, მაგრამ საკმაოდ შეთვისებული არა ქონდა მას თვისი როლი. სათნი ხომ ახალგაზდა ფილოსოფოსი და ახალი რჯულმდებელია თავის სამშობლოში. მან, უცხო ქვეყნებში განსწავლილმა, სცნო სიყალბე ეგვიპტის ღმერთებისა, იგი ებრძვის ქვეყნის უბედურებას, სიცრუეს, ტანჯვა-ვაებას და სურს ქვეყნად ჭეშმარიტება განამტკიცოს.

მართალია, იგი შედარებით ეგვიპტის სასტიკ ღმერთებთან. უფრო სათნო, უფრო ლმობიერი იდეალების მქადაგებელია, მაგრამ სათნი—გელოვანი ერთობ გულგრილად სთესდა ამ ცნებებს, ერთობ მშვიდობიანად ებრძოდა სიცრუეს და ბოროტებას. იგი ხომ ახალი რწმენის ქურუმია, თუმცა ლმობიერი და რბილ-ძვალა, მაგრამ მაინც რწმენით გატაცებული და აი ამიტომაც გელოვანს ვერ უშველა გაცხარებამ, ყვირილმა და საერთოდ სუსტი გამოდგა. შესაძლებელია, სათნის როლი საერთოდ არ იყოს მდიდარი, მაგრამ მეორე მოქმედებაში, სცენა კერპების დალეწვისა იმდენად გრანდიოზულია, რომ იქ მსახიობს სასწაულის მოხდენა შეუძლია და სწორედ ეს სცენა დაეკარგა გელოვანს! ხუმრობა საქმე ხომ არ არის! ახალგაზრდა და ენტუზიასტი გამოდის მშიერი ბრბოს წინაშე, უხელს იას თვალებს, რომ მას ძლიერნი ამა ქვეყნისანი ატყუებენ, რომ ეს ღმერთები არ არსებობენ და კერპები უბრალო ნივთიერებაა. იგი დაამსხვრევს ერთს კერპს, მის მაგალითს ბაძავს მონათა ბრბოც. ეს მთელი ქვეყნის ნგრევაა ეს რევოლიუციაა, ეს ხალხის წუთიერი გამოღვიძებაა და ვინაიდგან სცენაზე ეს თითქმის კინემატოგრაფიულის სისწრაფითა ხდება, არტისტმა უნდა თვისი ტემპერამენტით თანდათანი ზრდით, ფსიხოლოგიურად შესაძლებელი უნდა გახადოს ასეთი რევოლიუცია. ბ. გელოვანმა კი პირველადვე მაღალი ტონი აიღო და იმავე ტონითვე გაათავა და ამან კი ვერ შექმნა თანდითანობითი განცობილება

აქ თვით რეჟისორის საყურადღებოდაც უნდა ითქვას, რომ ბრბომაც კერპთა დამხობა სათანადოდ ვერ შეამზადა. ხმა, ინოტნაცია, ნიუანსები გედევანს კარგი აქვს, მაგრამ ერთობ ამოკლებს სიტყვებს, და ხმას არ აცლის ბგერისთვის. ეს შემოკლებული ამოძახილი, ამოყვილი სიტყვებისა უკარგავს ძლიერებას გამოთქმას და მსმენელსაც ეკარგება.

საერთოდ, ბ გედევანი, როგორც მასალა ხელოვანისთვის ფრიად გამოსადეგია.

ბ. ჯიქიას ერთი რამ უნდა შევნიშნოთ: როდესაც მსახიობი იძულებულია ავტორის გრძელი და მოსაწყენი ტირადები გადმოალაგოს, როგორც ეს ქურუმი ქურუმისა და სათნის რელიგიურ დისპუტის დროის არის, უნდა მეტი მრავალფეროვანება მისცეს ხმას, მეტი სიძლიერე უნდა გამოიჩინოს და თან ერთი სიტყვაც არ დაუკარგოს მსმენელს, თორემ მისი ცქერა მოსაწყენი იქნება. საკმაოდ ლამაზი და სალი აქვს ბ. ჯიქიას, მაგრამ ლოცვა იზისისადმი მეტის საიდუმლოებით, მეტის ღაღადით და მისტიკით უნდა შეეხამებინა აგრეთვე მსახიობმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს კილოს და მალე მოიშოროს ცოტაოდენი პროვინციალიზმი, რომელიც მას ეტყობოდა. ამნაირად, წარმოდგენამ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა და იმედები უკეთესობისა აღგვიძრა. ჯერ ეს ვიკმაროთ.

**ბორჩელი.**

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტის.

ლივიტანოვის დიპლომი

ვასწავლი ყოველგვარ ჭრა-კერვას როგორც ქალისას ისე კაცისას და ბავშვებისას. მრავალ ფეროვან ნაქარგს, „გლადი“, ნარღვევი, და სხვა. ამასთანავე ვიღებ შეკვეთილებს: კაბებს, პალტოებს, თეთრეულს; კაცის ტანისამოსს: ჩერქეზულ, იმერულს და გურულს. ვასრულებ სინდისიერად და ხელმისაწვდომ ფასად.
გორის ქუჩა, № 18. 2278

ექიმი ბ. მ. მუხაძე იღებს სალოსტაქრო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 5—77. 1030

ექიმი ქ. ტუშმალაშვილი, განაახლა ავადმყოფების მიღება (საშარდე და სასქესო ორგანოების სნეულებანი, ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი, „914“-ის შეშხაპუნება) ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათ. გარდა კვირისა. კერძო საავადმყოფოში, მიხეილის ქუჩა, № 167. 2407

ექიმი ლ. ა. ხარაბაძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. [illegible] 2198

ექიმი ბ. [illegible] იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი [illegible] მედიცინის დოქტორი [illegible] უნივერსიტეტისა [illegible] ყოველ დღე შინაგან, [illegible] სიფილისის წამლობა [illegible] დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. [illegible] 3რ. სახლი № 19. [illegible] 2806

ექიმი ნიკოლოზ [illegible] იღებს სპეციალურად მალარიით [illegible] სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, [illegible] შინაგან სნეულებით [illegible] 2245

ექიმი ბ. ლ. [illegible] (მედიცინის დოქტორი [illegible]) [illegible] ყოველ დღე დილის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, [illegible] და საშვილოსნოს სნეულებანი. [illegible] № 7. [illegible] 908

ექიმი ა. ა. [illegible] შინაგანი ავადმყოფობა, განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულისა: ფილტვისა, [illegible] ფილტვების [illegible] და [illegible]. [illegible] სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე. [illegible] ქ. № 26. ტელ. 6—86. 1270

[illegible] სამკურნალო [illegible]
[illegible] ყოველ დღე [illegible] დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 ([illegible] კინო-თეატრის მახლობლად). [illegible] 67

ექიმი ი. ი. ხარაძე მიიღებს ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფები დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 8. 301

ექიმი ზ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი
წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეტის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის ა. [illegible] მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, [illegible] და [illegible] მდგომარეობის [illegible]. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 5, ბ. 3. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2029

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა
ბ. ბ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ის სხივებით დიდი სოლენოიდი და არსენვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92. 1340

კერძო სამკურნალო
[illegible]
მომსვლელ ავადმყოფთათვის. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.
ბ. მ. რეკვავა—[illegible] ავადმყოფობანი 9—11
მ. მ. ტუმმალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის 606—914 (წოლით), 11—12 ს.
ი. ა. [illegible]—საბავშვო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.
ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.
[illegible]—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.
მ. ნ. [illegible]—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.
ბ. მ. [illegible]—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.
ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (მარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).
ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ხერხის გაკეთება.
სამკურნალოში დილითაც იმყოფება მორიგე ექიმი.
მისამართი: ირაკლის ქუჩა № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი 9—8
სამკურნალოში [illegible] მორიგე ექიმი. [illegible]8

[illegible] სამკურნალო [illegible]
(დაარსებულია 1880 წელს)
[illegible] ყოველ დღე ([illegible]) [illegible] „606“ და „914“ 11—12 ს.
ბ. ა. ნავახარიძე—11—12 ს. [illegible] (სიფილისი, ავადმყ.)
ბ. ბ. [illegible]: 10—12 [illegible] შინაგანი ავადმყ.
მ. გ. [illegible]—კანისა და ვენერიულ [illegible] 12—1 ს.
დ. ი. [illegible]: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.
მ. მ. [illegible]: 10—12 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი
ბ. გ. [illegible] [illegible] საკეისრო ავადმყ.
ი. ი. [illegible], 12—1 ს. შინაგანი
[illegible] 3 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, [illegible] და [illegible] მორიგეებით.
სამკურნალოს დირექტორი მ დოლიძე
[illegible] ა. ნავახარიძე.

იჯარით გაცემა
ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ორშაბათს, ნოემბრის 25-ს შუადღის 12 ს. გამგეობის შენობაში მოხდება შეჯიბრება ალექსანდრეს ბაღის და მელიქოვის ქუჩის კუთხესთან მდებარე ბუდკის იჯარით აღებისა.
ყოველგვარი ცნობების და პირობების გაგება შეიძლება მუშაობის დროს მიწის და იჯარის განყოფილებაში. 140

[illegible] გაზეთი
„სახალხო საქმე“
ღირს: თვით 10 მან., ხოლო [illegible] პროვინციაში [illegible] 60 კ., განცხადება: [illegible] 40 კაპ. [illegible] განცხადება 15 მან. [illegible] ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, [illegible] № 8, [illegible] 199, ტელეფონი 12—29.